



სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების
სააგენტოს დირექტორის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030279950198820

№ 02-1279/ო

04 / აგვისტო / 2020 წ.

**დამატებით სანებართვო პირობებს დაქვემდებარებული მომსახურების ნებართვის დანართის
გაცემის შესახებ**

საქართველოს კანონის “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” (მუხლი 24, პუნქტი 54, მუხლი 25, მუხლი 26) და “სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის N385 დადგენილების (დანართი N2) შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა" -ზე (ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ. N4) სტაციონარული დაწესებულების ნებართვის დანართი - გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (EMERGENCY)-IV დონე.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 64)
3. ბრძანება ძალაში შედის ხელისმომწერისთანავე.

საფუძველი:

სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა" -ს დირექტორის ლ. რატიანის განცხადებები N64984 26.06.2020წ; N70695 08.07.2020წ.
ადგილზე შემოწმების აქტი Nლ/ნ-890-39 31.07.2020წ.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზაალ კაპანაძე